**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი**

**ბრძანება** N 2-672

30/07/2020

**ქ. თბილისი**

**ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, საწარმოში მიმდინარე დამხმარე საქმიანობებისა და სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ**

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის, ამავე კოდექსის I დანართის მე-16 პუნქტის, II დანართის მე-10 პუნქტის 10.3, 10.4 და 10.5 ქვეპუნქტების საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს, ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების, საწარმოში მიმდინარე დამხმარე საქმიანობებისა და სახიფათო ნარჩენების ინსინერაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №66 (20.07.2020);
2. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №66 (20.07.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი